ოთხშაბათი 26 აგვისტო 1915 წ.

# სამშობლო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დეპეშებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ' ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 161 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 161

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
თრივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

## დიდი იაფი ვაჭრობა

ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.

რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.

თვ. პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

დ. ყვირილაში სამოსწავლო მთავრობის ნებართვით, ყუბარაძის სახლში

## გაიხსნა მოსამზადებელი სასწავლებელი,

სადაც მოემზადებიან ბავშვები ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლებისათვის: გიმნაზიის, რეალურის, კომერციულისთვისა და სხ.

ფასი ოცი მანეთიდან წელიწადში. სტუდენტი ვარლამ ფერაძე.

14—1—963

**ექიმი** ვ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვების და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

**ექიმი** ი. ჩარექიშვილი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.

გაბრიელ იოსების ძე
## ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.

ალექსანდრეს ქ, საკუთარი სახლი. თ.

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის. გოშპიტლის ქუჩა, ამოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

მასაჟით სამკურნალო **კაბინეთი** მარ. ჭალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძის სახლი. თ.

**კერძო ექიმი** მიხეილ კაშია

კურნავს ყოველგვართვალის ტკივილის ავათმყოფობას დებულობს დილის 7 საათ. მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი თვ.

**ბებია** მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ქ. ქუთაისი.

**ექიმი ქალი** ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

ლ. ა. კეტტლერი-დადუნაშვილისა

ღებულობს შინაგან და ქალთა ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. დ საღ. 5—6 ს.

ქარვასლის ქუჩა, (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები. თვ. 975

**დაიბეჭდა** ა. გარსევანიშვილის წიგნაკი მ:ია—მათე ყაჩალათ წოდებული. იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

მხოლოდ 3 დღეს: ორშაბათს 24, 25 და 26 აგვისტოს მხატვრული პროგრამა. პატე ჟურნალი. მიმდინარე ამბები.

სენსაცია!

## წყვდიადი და მისი საუნჯენი.

მეტად ძლიერი დრამა 6 ნაწ., პროლოგით და ეპილოგით, მონაწილეობას მიიღებენ საიმპერატორო მცირე თეატრის ცნობილი არტისტი ვ. ვ. მაქსიმოვი და ინგლისის სამეფო თეატრის ცნობილი არტისტი ქალი ალისა აგრიში.

აქტი 1-ლი: პროფესორი გასანი. აქტი 2-რე: სამართლის განაჩენი. აქტი 3-მე: მისი უკანასკნელი ნება. აქტი 4: საუკეთესო წლები. აქტი 5: ბედის ტრიალი. აქტი 6 მკვლელის შვილი.

ანონსი: ამ დღეებში ნაჩვენები იქნება ამერიკული კოლოსალური სურათი: მილიონების გიპნოზის გავლენის ქვეშ. 15 სერიათ და 45 ნაწილათ 15 ათას მეტრის ზომის ლენტი.

**აფთიაქი** კორბოულის საჩქაროთ იცვლება იჯარით.

პასუხისათვის მარკა.

ხობში, ოგანეზოვს. 3—1—967

# ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

## კავკასიის ასპარეზი.

**თფილისი.** 23 აგვისტო. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ოფიციალური, 21 აგვისტოს განმავლობაში ზღვის პირის რაიონში ჩვენმა მატორიანმა ნავმა ხელთ იგდო ორი ხომალდი დატვირთული სურსათ-სანოვაგით და დაატყვევა შეიარაღებული მეზღვაურნი ამ ხომალდებისა. ოლთისის მიმართულებით იშვიათი სროლაა, მელიაზგერთის მიმართულებით ჩვენს მზვერავებს შეტაკება მოუხდათ ოსმალთა ცხენოსან რაზმთან სოფ. ალხიზისა და ხულიკის რაიონში. დანარჩენ პირზე ცვლილება არ მომხდარა.

## ალმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისაგან 23 აგვისტო, ოფიციალური. რიგის ყურეს შემოსასვლელში 21 და 22 აგვისტოს განმავლობაში მტრის მზვერავი ჰიდროპლანები რამდენჯერმე გამოჩნდნენ ირბენის სრუტეზე და ყუმბარები ესროლეს ჩვენს ნაღმოსნებს. უკანასკნელებმა ყოველთვის განდევნეს ჰიდროპლანები სროლით. მდ. დვინას მარცხენა ნაპირას გერმანელებმა მაშველი ჯარი შეკრიბეს და უმთავრესი ყურადღება მიაპყრეს მდინარის ორთავე ნაპირის ხელში ჩაგდებას ფრიდრიხშტადტის რაიონში. ძალების უსწორობისა გამო ჩვენი ჯარი, რომელიც მდინარეზე გადავიდა სოფელ ლინდენთან, 21 აგვისტოს სასტიკი ბრძოლის შემდეგ იძულებული გახდა უკანვე დაბრუნებულიყო მარჯვენა ნაპირას. მიღებულ მოხსენებათაგან გამოირკვა, რომ იმავე რიცხვში ფრიდრიხშტადტთან ბრძოლების დროს ჩვენი ჯარების უკან წასვლა მდინარეს იქეთ გამოწვეული იყო დვინაზე ხიდების დაწვით, რომელთაც მტრის ყუმბმრებიდან გაუჩნდა ცეცხლი. რიგისა და იაკობშტადტის მხრით გერმანელები მხოლოდღა გვიშლიდნენ ჩვენი შეტევის დროს. ვილნოს გზებზე ჩვენ თავს ვუჭერთ მტერს ძველ პოზიციებზე. დაბა ორანის რაიონში ჩვენმა ჯარმა 21 აგვისტოს გერმანელები გარეკა სოფ. სმალნიკიდან და დაატყვევეს 200 გერმანელი, მათ რიცხვში რამდენიმე აფიცერი. მდ. მერეჩკის ქვედა მიმდინარეობაზე 21 აგვისტოს ჩვენ ძლიერ ცუდ გარემოებაში მოგვიხდა მტერთან ბრძოლა, რომელიც ჩვენ ჯარს ემუქრებოდა გროდნოს რაიონიდან შემოსვლას.

ნემანის პირზე გროდნოს ზემოდ მდ. ისელდამდე კარტუზ-ბერეზასთან ჩვენმა ჯარმა ბევრ ადგილას კარგად მოიგერია 22 აგვისტოს და მეორე დღესაც მტრის მრავალი იერიში, მაგრამ უკანასკნელმა მაინც შესძლო ჩვენი შევიწროება და უკან წავედით, ვოლკოვისკისაკენ. გორინს და სტირის შუა მტერმა 22 აგვისტოს საღამოსთვის თავისი ძალები შესამჩნევად გააძლიერა და დუბნოსა და როვნოს გზებზე შემოტევას განაგრძობდა. სტირის მარჯვენა ნაპირზე, დუბნენის ბალების ჩრდილოეთით შეტაკებებია. გალიციაში მდ. სერეტზე მტერი 22 აგვისტოს განმავლობაში ტარნოპოლის, ტლუსტეს და სერეტის სათავესთან, დნესტრის ორთავე ნაპირზე, გამუდმებული იერიშით მოდიოდა. ტლუსტესთან რუსებმა მტრის იერიშები მოიგერიეს, მიუხედავათ იმისა, რომ მოწინაამდეგეებს მაშველი ჯარი მოუვიდათ. რუსებმა 3000 კაცამდე ტყვეთ ჩაიგდეს ხელთ აგრეთვე რამდენიმე აფიცერი. ბრძოლა გრძელდება.

შავ ზღვაზე რუსების ნაღმოსნებმა “პრონზიტელნიმ“ და „ბისტრიმ„, ზუნგულდაკის ახლო კრეისერ „ჰამიდიეს“ ბრძოლა აუტეხეს. ნაღმოსნებს პირველი რანგის კაპიტანი თ-დი ტრუბეცკოი უფროსობდა. ორი საათის ბრძოლის შემდეგ მტერი ბოსფორისაკენ გაიქცა. რუსის ნაღმოსნები დაედევნენ და ოთხი გემი, ნახშირით დატვირთული, დაატოვებინეს, გემები რუსებმა ჩასძირეს.

# ქრონიკა.

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

## უმაღლესი კომისია თავს იმართლებს.

ვიცით, რომ ამ სამი კვირის წინათ უმაღლესათ შედგა გამომძიებელი კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია მიზეზები, თუ მომქმედ ჯარს რატომ მიაკლდა სამხედრო მასალა და რატომ თავის დროზე არ აწვდიდენ მას საჭირო იარაღს. მაგრამ დღემდე ვერ ვხედავთ შედეგს ამ კომისიის მოქმედებისას, რაც გაზეთ „დენის“ 12 აგვისტოს ნუმერში აღნიშნული იყო. ახლა ამის საპასუხოთ უმაღლესათ დანიშნული კომისიის თავჯდომარე აცხადებს, რომ იგი დღემდე საქმის მასალების მოგროვებას მოუნდა და როცა ყველა მასალებს თავს მოუყრის და საქმეს საფუძვლიანათ გამოარკვევს, მაშინ შედეგსაც გამოაშკარავებს თუნდაც ეს შედეგი ვინმე უმაღლესი პირის პასუხის მგებლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბასაც მოითხოვდეს. მხოლოთ საქმის გამოძიება ღია კარებში არ იწარმოებს, როგორც ეს „დენის“ სტატიის ავტორს სურსო. (რ. ვ.)

### ბერლინ-სტამბოლის პირდაპირი გზის გასახსნელათ.

კორესპონდენტები იუწყებიან, რომ ავსტრო-უნგრეთის ჯარები ქ. ორშოვაში იყრიან თავს, რომ ბერლინ სტამბოლის პირდაპირი გზის გასახსნელ ოპერაციას მალე შეუდგენ. ქ. ორშავის რაიონი მართლაც ამ მიზნის თვის მოხერხებული ადგილია: იგი სერბიის, რუმინიის და ბულგარეთის საზღვრებს აერთებს. როგორც ირწმუნებიან, იქ ჯერ-ჯერობით 150 ათასამდე კაცია თავმოყრილი; მალე ჯარის კაცთა რიცხვი 400 ათასს მიაღწევს. ფიქრობენ, რომ ოპერაციას იმ მომენტში შეუდგებიან, როცა ავსტრო-გერმანელთა ჯარების შეტევა რუსეთის სამხრეთ ასპარეზზე საკმაოთ განვითარდება. სერბიაზე ხელ ახალი თავდასხმა ინგლისური „ტაიმსის“ ცნობით ამ ათი დღის შემდეგ დაიწყება. ზემოდასახულ მიზნისთვის სამი არმია ჰყავთ დამზადებული. ერთი სერბიას დაიცავს, ხოლო მესამე ბუკოვინას გადალახავს და რუსეთის ბესარაბიაში ქ. ბელცამდე შეიჭრება. ყველა ამ ჯარებს ხელმძღვანელობას და წინამძღოლობას გაუწევს ჰერცჰერცოგი ევგენი.

### რუსეთი.

### ხურდა ფულის ნაკლებობა.

ამ ბოლო დროს სამხრეთ-რუსეთის ქალაქებში და პეტროგრადშიაც ხურდა ფულის ნაკლებობის გამო დიდი მითქმა-მოთქმა და არევ-დარევაა. პეტროგრადსა, კიევსა, სმოლენსკსა და ხარკოვში ამ ნიადაგზე მცხოვრებთა შორის დიდი გაუგებრობა დატრიალდა: ვაჭრები მყიდველთ ხურდა ფულს ვერ აძლევენ რაც მათ შორის დიდ აყალ მაყალს იწვევს. ხშირათ საქმეში ადგილობრივი ადმინისტრაცია ერევა და სასჯელით ემუქრება ყველას, ვინც ხურდა ფულს განზრახ არ გამოაჩენს და დამალავს. პეტროგრადში გრადონაჩალნიკის განკარგულებით საპოლიციო სამართველოები მომთხოვნელთ ხურდა ფულს აძლევენ.

### თათბირი გორემიკინთან.

პეტროგრადიდან გაზეთებს აუწყებენ, რომ უკანასკნელ თათბირზე გორემიკინს დეპუტატებმა აღარ დაუფარეს და პირდაპირ უთხრეს, რომ სახელმწიფო სათათბირო მინისტრთა საბჭოში დიდ ცვლილების მოხდენას მოელის, კერძოთ მთავარ მინისტრის გამოცვლას.

ამაზე გორემიკინმა შენიშნა, რომ ის კარგა ხანია ადგილიდან გადადგომას ფიქრობს, მაგრამ ეს ჯერ მას არავისთვის გაუმჟღავნებია.

(რ. ს.)

### ხუთი დასჯილი ს. დ. დეპუტატის ბედი.

ციმბირში გაგზავნილ ხუთ ს. დ. დეპუტატს წინადადება მისცეს, რომ შეწყალების თხოვნა წარმოადგინონ, მაგრამ მათ ამაზე უარი განაცხადეს. ახლა, როგორც გაზეთებს აუწყებენ სათათბირომ სხვა გზა გამოუნახავს: შეწყალების თხოვნას სათათბიროს სახელით თითონ თავჯდომარე, როძიანკო წარადგენს და ამ ნაირათ ამ საკითხს იგი უთუოდ გადაჭრის.

(კ. ს.)

### ახალი კანონპროექტი.

შინაგან საქმეთა მინისტრს გაუმზადებია სახელ. დუმაში წარსადგენათ **ახალი კანონ-პროექტი ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ყოფა-მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.** კანონ-პროექტს მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატება აქვს მიზნათ. დუმის ფრაქციებიც იმ აზრის არიან, რომ ეს კანონ პროექტი მიმდინარე სესიამ რაც შეიძლება ადრე განიხილოს და დაამტკიცოს კიდეც.

### ციხე-ქალაქი სევასტოპოლი.

ამ ქალაქის უფროსის ნება-დაურთველათ იქ შესვლა აღკრძალულია მოგზაურთათვის. სამხრეთ ყირიმში წამსვლელთაც აღუკრძალავს სევასტოპოლში გავლა.

### უცხოეთი.

### სამხედრო კანონის შეცვლა.

ბერლინიდან იუწყებიან, რომ, როგორც სტენოგრამის ანგარიშიდან სჩანს, რეიხსტაგმა სამხედრო ბეგარის შესახებ კანონ-პროექტში რამდენიმე ცვლილება შეიტანა. ცვლილების შესახებ არსებითად არაფერი გამოუქვეყნებიათ; ისე კი ამბობენ, რომ სამხედრო სამსახურის ვადა 45-დან 54 წლის ხანამდე გაადიდესო.

### პროკლამაციები სპარსეთში.

ქ. თავრიზში ბლომათ გააკრეს მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციები, რომლითაც ხალხს მოუწოდებენ, რომ კაჯარების დინასტიის წინააღმდეგ ამხედრდენ! პროკლამაციების გამკვრელნი დაატუსაღეს. (დ.).

### გერმანიის რეიხსტაგში.

გაზეთ „ფორვერტსის“ ცნობით დიდი აურ-ზაური ასტეხეს სოციალ-დემოკრატებმა რეიხსტაგის სხდომაზე სოციალისტური პრესის შევიწროების გამო. დეპ. დიტმანმა, სხვათა შორის, განაცხადა შემდეგი: „გვძულს მთავრობა, რომელიც ხალხს სიმართლეს უმალავს“-ო.

## ომის ამბები.

### მისალოცი დეპეშა.

გაზ. „რუსკია ვედომოსტს“ ატყობინებენ, რომ ბულგარეთის სახალხო კრების, პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგმა, მომჩილოვმა ვილჰელმს დეპეშით მიულოცა, რომ მისმა ჯარებმა ბრესტი აიღეს. ვილჰელმაც არ დააყოვნა და ბულგარეთის წარმომადგენელს სამადლობელი დეპეშა გამოუგზავნა.

### ბულგარეთს ტერიტორია დაუთმეს.

იმავე გაზეთის ცნობით ოსმალეთი უკვე შეუდგა იმ ტერიტორიის დაცლას, რომელიც მან ბულგარეთს დაუთმო: მდ. მარიცას ნაპირებზე, რაც ფორტები და სიმაგრეები იყო, ყველას აუქმებენ.

## ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

გუშინ, ქალაქის მოურავმა ი. მ. ჩიქოვანმა თფილისს ინჟინერ ქურდიანს დეპეში გაუგზავნა, რომ სასწრაფოთ ჩამოვიდეს, ნაქერალას ქედზე მოხოული წყაროების დასათვალიერებლათ და შესამოწმებლათ ქუთაისის წყალსადენისათვის.

✦ ქუთ. ქალაქის გამგეობამ ფინანსთა სამინისტროში შუამდგომლობა აღძრა, შეიცვალოს ქუთ. საურთიერთო ნდობის ბანკის წესდების მე 69 მუხლი. იმ აზრით, რომ ამ ბანკის მოგების ერთი მეათედი, რომელიც იყო ქუთაისის გამგეობის განკარგულებაში ტექნიკურ ცოდნათა გასავრცელებლათ, გადაეცეს ქუთაისის კომერციულ ცოდნათა გამავრცელებელ საზოგადოებას კომერციული სასწავლებლის დასაარსებლათ.

✦ ამ მოკლე ხანში ქუთაისში არსდება ქართველ მხატვრულ-მწერლობის წარმომადგენელთა წრე. საქმის ინიციატორებმა წესდებას პირი ბაქოს სალიტერატურო წრისაგან უკვე მიიღო.

✦ ქუთაისის პრაქტიკანტების პატრონებს ბრძანება მოუვიდათ მთავრობისაგან, რომ დღეიდან ხუთი დღის განმავლობაში სეანსები აღარ გამართონ. როგორც ვიცით, უწ. სინოდმა ამ დღეებში მარხულობა გამოაცხადა, რათა ღმერთმა დაიხსნას რუსეთი განსაცდელისგან.

✦ სიმონ ქვარიანისა და ქალ. მოურავის საქმეს, მათ შორის უთანხმოების გამო, ქალ. საქმეთა საკრებულო გაარჩევს დღეს, 26 აგვისტოს.

✦ ამ დღეებში ქ. ოზურგეთში მოხდება სახალხო სკოლების მეთოხე რაიონის მასწავლებელთა საზოგადო კრება.

✦ გუშინ, 25 აგვისტოს, მაზრის სამხედრო საკრებულოში დაიწყო იმ სათადარიგო ჯარისკაცების შემოწმება, რომლებსაც მობილიზაციის დროს ჰქონდათ ერთი წლის ვადა.

✦ 16 აგვისტოს სოფ. ოჯოლაში ვიკ. მხეიძის მეთაურობით გაიმართა წარმოდგენა, რომლის შემოსავლის ერთი ნაწილი გადაიდვა ხრესილის აკაკი წერეთლის სახელობის სამკითხველოს სასარგებლოთ.

✦ როგორც ოკრიბიდან გვწერენ, აგვისტოს სიცხეებს ვაზები ერთბაშათ წაუხდენია. მოსალოდნელია, რომ ვაზები სულ გახმეს.

✦ საგუბერნიო ციხიდან გაათავისუფლეს გაზ. „აზრის“ რედაქტორ-

## ამონაკვნესი.

„მოკვდა“... „დასჭრესო...“ „ტყვედ წაიყვანეს“!..
ზუზუნებს ქარი, იძახის ყველა:
ძაძით იმოსვის დიდი, პატარა,
წყლული წყლულს ერთვის არ არის შველა!

—.—

სტირის ბუნება, ქვითინებს მდელო,
აჰა, ინგრევა შვების ტაძარი,
და მთელ მიდამოს აოხრებულსა
გარს ეფინება გლოვის ზეწარი.

—.—

ბკვნესდა გული ცრემლში ნალესი
ყელს ებჯინება სისხლი მქუხარე...
ოხ, ბარემ გავწყდეთ სულ ყველა ერთად,
ვიდრე მტრის ხელში ვიქნეთ მწუხარე.

—.—

„მოკვდა“... ,,დასჭრესო‘‘... ,,ტყვედ წაიყვანეს‘‘!..
ზუზუნებს ქარი, იძახის ყველა.
ძაძით იმოსვის დიდი, პატარა,
წყლული წყლულს ერთვის, არ არის შველა...

გ. მღებავისშვილი.

## ხოლერა*).

### ექიმის საუბარი.

(მოკლე დარიგება).

1) სასმელათ იხმარეთ მხოლოთ გადადუღებული წყალი, რადგანაც გადადუღებულ წყალში ხოლერის ვიბრიონები უკვე დახოცილია.

**შენიშვნა.** ა] გადადუღებული წყალი უნდა ინახებოდეს დახურულ ჭურჭელში. ბ) გადადუღებული წყალი უნდა დალიოთ მაშინ, როცა გაცივდება, სანამ წყალს დალევდეთ, ჭიქა ანუ სხვა ჭურჭელი უეჭველად უნდა გამორეცხოთ ცხელი წყლით, გ) დასალევ გადმოდუღებულ წყალში შეგიძლიათ ჩაუმატოთ მარილის, ან ლიმონის სიმჟავე: ერთი ჩაის ჭიქა წყალში ჩააწვეთეთ 5-დან 8 წვეთამდე მირილის სიმჟავე. იყიდეთ აფთიაქში; საკმარისია 20—25 კაპ; რომელიც დიდ ხანს გეყოფათ. მარილის სიმჟავე უნდა იხმაროთ 2-3 ჯერ დღეში, უმჯობესია, რომ მარილის სიმჟავის წვეთები ექიმის რჩევით მიიღოთ, რადგანაც ეს წამალი მხოლოდ იმათთვის არის სასარგებლო, ვისაც კუჭის წვენში ბუნებრივი მარილის სიმჟავე ნაკლები აქვს; ამიტომაც ზოგიერთს მარილის სიმჟავის მიღება აწყენს. მარილის სიმჟავის მაგიერ შეიძლება იხმაროთ ლიმონის მარილი, პატარა კვნიტი ლიმონის მარილი გახსენით ერთ ჩაის ჭიქა წყალში, ანუ რომელიმე მჟავე სიროფი შინდის, ან ბროწეულის წვენი მაშარაბი. ბროწეულის წვენი გახსენით ერთ ჩაის ჭიქა გადადუღებულ წყალში არა, ნაკლები 1/2 ჩაის კოვზისა. კარგია აგრეთვე, რომ ჩაი ლიმონით დალიოთ.

2) ხელპირის დასაბანათაც იხმარეთ გადადუღებული წყალი. თუ ეს საძნელო იქნება, ჭამის წინათ პირი უნდა გამოირეცხოთ გადმოდუღებული წყლით და ხელებიც დაიბანოთ იმავე წყლით, ამიტომ რომ აუდუღარი წყალი პირში და ხელებზე სტოვებს ხოლერის ვიბრიონებს, რომლებიც საჭმელთან ერთათ კუჭში გადავლენ. უკეთესი იქნება, რომ ჭამის წინ ხელებზე გადასავლებათ და პირის გამოსარეცხათ იხმაროთ გადმოდუღებული წყალი, რომელშიაც არის გარეული მარილის სიმჟავე—15—20 წვეთი ერთ ჩაის ჭიქა წყალში, ან 2% ბორის სიმჟავით: ერთი ჩაის კოვზი ბორის სიმჟავე გახსენით ერთ ჩაის ჭიქა გადმოდუღებულ თბილ წყალში

3) არ დალიოთ, ბორჯომის, უწერის, ვიში, სოდის და სხვა ტუტე წყალი, რადგანაც ტუტე წყალი კუჭში აქარწყლებს ცხარე წვენის სიმჟავეს და მაშინ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, იქ ხოლერის ვიბრიონები საუკეთესოთ მრავლდებიან.—

4) ჭის წყალი სჯობია არ იხმაროთ, რადგანაც ხოლერის დროს ჭის წყალი, როგორც დამდგარი წყალი, უფრო ადვილათ იშხამება, ვიდრე მდინარე. საკმარისია, რომ ხოლერის ვიბრიონი ჩაჰყვეს იმ ჭურჭელს, რომლითაც წყალი ამოაქვთ ჭიდან, რომ მთელი ჭა მოიშხამოს. უფრო ადვილათ მოიშხამება ჭის წყალი, თუ რომ ხოლერიანი ავათმყოფის განავალ—ნარწყევი, ან ნაბანი წყალი ნიადაგიდან შეერევა ჭის წყალს. საშიშია აგრეთვე, თუ ჭა ფეხის ადგილთან ახლოა და ღრმა არ არის.

5) ხილი სჯობია არ სჭამოთ, ამიტომ, რომ ხოლერის ვიბრიონები მათ კანზე და წვენში, (უმთავრესათ მაშინ თუ რომ ხილი ცოტათი მაინც დამპალია) ძალიან კარგს ნიადაგს ჰპოულობენდა მრავლდებიან თუ უხილოთ ვერ გაძლებთ, იმ შემთხვევაში საჭიროა, რომ ხილი გარეცხოთ ადუღებულ წყალში. კარგი იქნება, რომ მარილის სიმჟავიან წყალში გაავლოთ (ოცი წვეთი სიმჟავე ჩააწვეთეთ ერთ ჩაის ჭიქა წყალში) უმჯობესია, რომ ხილი შესწვათ ანუ „კამპოტათ“ გააკეთოთ. ძლიერ მაწყენარია ნესვი, ატამი, ქერამი, ბჟოლა (თუთა) ლეღვი, კიტრი არ სჭამოთ იმისთანა საჭმელი, რომელიც წყურვილს მოჰგვრის; მაგალითად: ხმელი თევზი, მარილიანი ყველი, შაშხი, ძეხვი (კუპატი) აპოხტი და სხ.

6) უნდა ერიდოთ, რომ პურს, ყველს, მჭადს, დოს და ყოველნაირ საჭმელს ბუზები არ დაასხდენ, რადგანაც როგორც ზემოთ ვთქვით, ბუზებს გადააქვთ ხოლერიან ავათმყოფის განავალ—ნარწყევიდან, ან ნაბან წყლიდან ვიბრიონები ყოველ-გვარ საჭმელ-სასმელზე, ამიტომ საჭიროა, რომ ყოველნაირი საჭმელი თავდახურული ჭურჭელში შეინახოთ, ზევიდან თეთრი სუფთა ტილო გადააფაროთ. პური და მჭადი, თუ დიდი ხანია ცეცხლიდან მოშორებულია, ალზე გაატარეთ ან ცხელ თორნეში შებრაწეთ. თუ ეს ვერ მოხერხდება, სჯობია კანი დასტოვოთ და გული სჭამოთ.

რძე უნდა იხმაროთ გადადუღებული: შენახული უნდა იქნეს დახურულ ჭურჭელში. კარგი იქნება, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემელი კონსტანტინე ცერცვაძე. მას მისჯილი აქვს გადასახლება ქუთაისის გუბერნიიდან ვიდრე სამხედრო წესები მოხსნილი არ იქნება.

✦ მოსკოვის გუბერნიის სითხიზლის საზოგადოების ლექტორმა ვ. თ. ურუშაძემ ქ. ოზურგეთში უკვე წაიკითხა ლექცია რუსულ ენაზე ერობის შემოღების შესახებ. მოკლე ხანში ბ. ურუშაძე ამავე ლექციას ქუთაისშიაც წაიკითხავს.

✦ ქალაქის გამგეობამ ქუთაისის მეყასბეებს წინადადება მისცა რომ რაც შეიძლება მეტი სისუფთავე დაიცვან. უნდა შეაკეთონ „ტახტები", რომლითაც ქალაქის სასაკლაოდან ხორცს ზიდავენ და იქონიონ ლეჩაქები სავაჭროებში ხორცზე გადასაფარებლათ. ვინც ამ წინადადებას არ შეასრულებს, პასუხის გებაში იქნება მიცემული.

✦ ქუთაისის ახალ კომერციულ სასწავლებელში სწავლა დაიწყება 7 ეკენისთვიდან. მისაღები გამოცდები მოხდება 2, 3 და 4 სეკტემბერს. ის მოწაფეები, რომელნაც სხვა სასწავლებლის მოწმობებს წარადგენენ უეგზამენოთ იქნებიან მიღებულნი.

✦ ქუთაისის ბაზარზე ახალი სიმინდის ფქვილი უკვე შემოდის. ფუთი სიმინდის ფქვილი 1 მანათ ნახევრად ფასობს.

✦ როგორც ქ. ოზურგეთიდან გვწერენ, ამ რამდენიმე დღის წინათ იქაურ მცხოვრებს დიმ. ღვალიშვილს სახლში შესცვივნიან ვიღაც ყაჩაღები. წაურთმევიათ 130 მან. ფულად და სხვა ძვირფასი სამკაულები.

✦ ჯ. კაცის ვარლამ თევზაძის მშობლები გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ეს მეოთხე თვეა, რაც მათ თავისი შვილის ამბავი არა იციან რა. იგი დაჭრილი იყო ბრძოლის ველზე და იწვა სააქიმოთ ბირჟისა და ვაჭართა საზოგადოების სახელობის ლაზარეთში, რომელიც მოთავსებული იყო ვოლკოვის სახლში ქ. მოსკოვში. მშობლები სთხოვენ ყველას, ვინც კი რაიმე იცის ვარლამ თევზაძის შესახებ, აცნობონ დ. სამტრედიაში ბესარიონ ზაქრაძეს.

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „სამშობლოს" კანტორა პატივისცემით მოაგონებს იმ ხელის მომწერთ, რომელთაც ხვედრი ფული არ გადაუხდიათ—ნუდარ დააყოვნებენ ფულის გამოგზავნას. ამასთანავე კანტორა აცნობებს თვიურ ხელის მომწერთ, რომ პირველ ეკენისთვიდან თვიურათ გაზეთის გაწერა არ შეიძლება. ვისაც გაზეთის დაკვეთა სურს, უნდა დაიკვეთოს არა ნაკლებ სამი თვისა. პირველი ეკენისთვიდან წლის დამლევამდი გაზეთი ღირს 3 მ. და 1 აბაზი.

გაზ. „სამშობლოს" რედაქცია და კანტორა.

### მოწერილი ამბავი.

**დ. ბელოგორი.** კვირას, 6 აგვისტოს, ადგილობრივმა სცენისმოყვარეთა ჯგუფმა, ალექსანდრე ბოჭორიშვილის რეჟისორობით ითამაშეს სამ მოქმედებიანი დრამა „ბატონი და ყმა" და ვოდევილები, „კუდიანი ვარსკვლავი" და „ტიმოთეს ლელვი", წარმოდგენამ გვარიანათ ჩაიარა; „ბატონი და ყმაში კარგი იყო კ. გურგენიძე „გაბროს" როლში. ეს სცენის მოყვარე თორმეტ წელზე მეტია, რაც ადგილობრივ სცენას ემსახურება და არ შეგვიძლია არ ვთქვათ, რომ ადგილობრივი საზოგადოების დიდი სიყვარული არ ქონდეს მოპოებული. არაუშავდა რა „პეპიას" როლში კ. დეკანოიძეს, დანარჩენები თავ-თავის ადგილას იყვნენ, რითაც ანსამბლს ხელს უწყობდენ. ვოდევილებმა სუსტათ ჩაიარა, მხოლოდ ბ-მა ბოჭორიშვილმა ბევრი აცინა საზოგადოება თავის მოხდენილი თამაშით.

საზოგადოება ცოტა დაესწრო; მიკვირს, ადგილობრივი სცენის მოყვარენი ყოველივე დაბრკოლებას სთელავენ და პირნათლად ასრულებენ თავის მოვალეობას და ადგილობრივი საზოგადოება რატომ არ თანაუგრძნობს? **აქაური.**

## პროვინციის ცხოვრება.

(ადგ. ჟურნალ გაზეთებიდან).

**სოფ. თლუღი.** (რაჭა). კულტურულათ ეს სოფელი ძალიან ჩამორჩენილია. გარდა ერთი სკოლისა სხვა კულტურული დაწესებულება არა მოეპოებათ რა. სკოლის შენობა, ხალხის დაუდევრობის გამო, ლამის ჩამოინგრეს და ჯეროვან ყურადღებას არავინ აქცევს.

მოწინავე პირებმა განიზრახეს სამკითხველოს დაარსება; ნებართვისთვის მიმართეს ქ. შ. წ. კ. ქ. განყოფილების გამგეობას. ვიმედოვნებთ, რომ ამ სოფლიდან გასული პირები, რომელნიც სხვა და სხვა ქალაქსა და დაბაში მსახურობენ, არ დაიშურებენ თავის წვლილს განზრახული სამკითხველოსათვის და მით ხელს შეგვიწყობენ ხალხის გათვითცნობიერების საქმეში.

— —

**ქ. ყარსი.** ისეთი უსუფთაო ქალაქი, როგორც ყარსია არსად არ არის. წვიმიან ამინდში კაცი ქუჩებში ვერ გაივლის. დარში კი კაცს მტვერი ახრჩობს. სანიტარული წესები სრულებით არ არის დაცული, რის გამოც დღე არ გაივლის, რომ 10—15 კაცი ხოლერით არ გახდეს ავათ.

. . . . . .

. . . . . .

**ს. ჭალა.** აქაური გლეხები იმდენათ ჩამორჩენილი არიან ცხოვრებას, რომ არავითარი კულტურული დაწესებულება არ მოეპოებათ. გაზეთი რა არის ამასაც წამლათ რომ გინდოდეს ვერ ნახავთ. ნუ თუ მათ არ აინტერესებთ დღევანდელი საერთო მდგომარეობა?

— —

**ხ. ნიკორწმიდა.** (რაჭა). 16 აგვისტოს წითელი ჯვრის სასარგებლოთ ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა წარმოდგენა გამართეს. წარმოადგინეს აქ. ცაგარლის 4 მოქ. დრამა „ქართველი დედა". წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა, ხალხიც ბლომათ დაესწრო და ნასიამოვნები დაიშალა.

— —

**ს. ცხუკური.** ამ სოფლის მცხოვრებლები დიდ გაჭირვებას განიცდიან თუ შიმშილობით, თუ წყალდიდობისაგან. ამას ზედ დაერთო ცრუ მკითხავების გამრავლება და ხალხის უწყალოთ ყვლეფა, ამ დღეებში ამ სოფელს ესტუმრა ერთი ცრუ მკითხავ-ექიმი ქალი ვინმე დესპინე. ხალხს იმდენათ სჯერა ამ მატყუარას სიტყვები, რომ უკანასკნელ გროშს არა ზოგვენ და ბაწარგამბით დაიარებიან მასთან. პატარა შუშა წამალში 5—10 მანეთამდი ახდევიებს გაჭირვებულ გლეხს. ბევრი გაისტუმრა საიქიოს და ბევრსაც აწი გაისტუმრებს, თუ უკეთუ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მისი თარეში არ ალაგმა. საკვირველია ღმერთმანი ჩვენი ხალხის უვიცობა! გამოჩენილი მეცნიერი ექიმი, რომ მიიყვანო და უთხრა ეს მოარჩენს შენს ავათმყოფსაო-არ დაგიჯერებს. ამ მატყუარა მკითხავ-ექიმებისა კი სჯერათ. სირცხვილია ადგილობრივ შესმენილ პირთათვის, რომ სოფლის ცხოვრებაში ასეთ მატყუარებს ადგილი აქვთ და მათ თავგასულობას ანგარიშს არ უწევენ და არ აძევებენ სოფლიდან.

— —

**სოფ. ვაჩნაძიანი** (კახეთი). ამ უკუღმართ ცხოვრებაში კაცი ყველაფერს უნდა მოელოდეს, მაგრამ თუ იმას მოესწრებოდა, რომ გაჭირვებულ გლეხს სანოვაგის გაყიდვას აუკრძალავდენ—ეს მოულოდნელი და გასაოცარი იყო. წელს აქით, ცუდი ამინდების გამო, ჭირნახულის მოსავალი ნაკლები იყო. ვენახები ხომ სულ განადგურდა მართალია, აქ სიმინდსაც სთესენ, მაგრამ მის მოსავალზე დიდ იმედს ვერ ამყარებენ ამ სოფლის მკვიდრნი. ამ გვარათ შემოსავლის წყაროთ აქაურებს გაუხდიათ თავისი შინაური ნაწარმოების გაყიდვა კახეთის რკინის გზის ვაჩნაძიანის სადგურზე. მაგრამ მათდა საუბედუროთ, სადგურის უფროსისა და ჟანდარმის მოწერილობით ადგილობრივი მამასახლისი თავისი ნაცვლისა და სტრაჟნიკის საშუალებით ხალხს—გამყიდველებს—ცხვირპირის დამტვრევით ერეკება სადგურიდან, რადგანაც სანოვაგეს ძვირათ ყიდითო. ამაზე იტყვიან:—სოფელი ვნახე უძაღლო შიგ გავიარე უჯოხოო.

## დაბა-სოფლები.

**დ. საჩხერე** (შორაპნის მაზრა) ცხოვრების გაძვირებამ, აუტანელ მდგომარეობაში ჩააგდო. მთელი კაცობრიობა დღეს თითქმის ყველას აგრძნობია, რომ საჭიროა ბრძოლა სიძვირესთან. ამ გარემოებამ ნიადაგი მოუმზადა კოოპერატივების დაარსებას.

სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ კოოპერატივები სოკოსავით მრავლდება ჩვენს დაბა-ქალაქებში.

მიუხედავათ იმისა, რომ ამ დაწესებულების დაარსებას ყველგან გულ-მხურვალეთ ეგებებიან, ჩვენს კურთხეულ დაბაში მის დაარსებას არა ეშველა რა.

5 ივლისს დანიშნული იყო მის შესახებ კრება. გამოვიდნენ საჩხერის სხვადასხვა სოფლიდან მოწინავე პირები გვეგონა, რომ კრება შესდგებოდა, მაგრამ, სამწუხაროთ არ შესდგა, რის უმთავრეს მიზეზათ ის უნდა ჩაითვალოს, რომ ჩვენი კულტუროსნები ამ დღეს საქეიფოთ ბრძანდებოდენ წასული მახლობელ სოფელში.

იმედია ამ თავის დანაშაულს მომავალში გაასწორებენ და მთელის ენერგიით შეუდგებიან კოოპერატივის დაარსებას. განზრახულია ამ მოკლე ხანში კოოპერატივის შესახებ კრების მოხდენა ნეტავ ახლა მაინც არ გამოიჩენდენ წინანდელ გულგრილობას ამ სასარგებლო საქმეში.

**შალიკო ხვადაბუნელი.**

## დაბა ყვირილა.

ამ უკანასკნელ დღეში ს. საქარასა და დილიკაურში ორი მცხოვრები გაცარცვეს შეიარაღებულმა ავაზაკებმა.

ამ საქმის გამო არიან დატუსაღებული ადგილობრივი პოლიციის მოხელე (სტრაჟნიკი) მუმლაძე (ყოფილი მოსამსახურე ადგილობრივი პრისტავის ი. მაჭავარიანის) ლირსება ახდილი და ციმბირიდან დაბრუნებული ყვირილის ღამის ყარაული ამილახვარი და ცნობილი ყაჩაღი სერგო ლაბაძის ძმა ვარლამი, რომელიც ერთ დროს დიდ დახმარებას უწევდა თავის ძმას ხალხის ძარცვაში.

გასაკვირი არ არის, რომ ოლხოვსკის დროს გაბატონებული ნაძირალები თავშეხსნილი არიან მანსავეტოვის ჯარში წასვლის შემდეგ, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ავაზაკობაში ბრალი ედება თვითონ პოლიციელებს და მათ დაახლოვებულ პირებს.

ამბობენ, რომ ავაზაკებს, რომე-

---

ყოველ ხმარების წინ ადუღოთ.

**შენიშვნა.** დამტკიცებულია, რომ ყოველ ნაირი სასმელ-საჭმელი, რომელსაც კი ცეცხლი მოხვდება (ადუღდება შეიწვება, თუ მოიხარშება) სრულიად თავისუფალია ხოლერის ვიბრიონებისაგან და ყოველ ნაირ შხამისაგან.

7) საჭიროა ნორმალური ცხოვრება. ზომიერი სასმელ-საჭმელი და თავის დროზე ძილი. საჭმელი ადვილათ მოსანელებელი მიიღეთ, რომ კუჭი არ დაასუსტოს, რადგანაც ჯანმთელი და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სალი კუჭის და ნაწლევების მქონმა ადამიანმა, კიდევაც, რომ გადაყლაპოს ხოლერის ვიბრიონები, ისინი მას მაინც ვერაც დააკლებენ: მისი ჯანმთელი აგებულება და განსაკუთრებით კი კუჭი და ნაწლევები მოერევა ხოლმე ვიბრიონებს, რომლებიც ვერ მრავლდებიან და მალე იხოცებიან.

8) ლოთობა ძრიელ მავნებელია. ლოთობა ლახავს კუჭს და ნაწლევებს, და ამით, მშვენიერ ნიადაგს უმზადებს ხოლერის ვიბრიონების გამრავლებას. სადილის და ვახშმის დროს შეგვიძლიათ ჩვეულებრივ დალიოთ ცოტა ღვინო (სჯობს წითელი);*) მაგარ სასმელებიდან იხმარეთ კონიაკი ან რომი: საკმარისია ერთი ან ორი ჩაის კოვზი ჩაასხათ ერთ ჩაის ჭიქა ჩაიში ან ყავაში.

9) ერიდეთ მუცლის და ფეხების გაცივებას და მიწაზე წოლას, რადგანაც კუჭის და ნაწლევების ავათმყოფობას იწვევს.

თუ დაგიწყოთ ფაღარათი, კუჭის და ნაწლევების ტკივილი, და მუცლის გვრემა, დაუყონებლივ ყურადღება მიაქციეთ, ექიმს მიმართეთ. კარგი იქნება, რომ მუცელი ფლანელით შეიხვიოთ.

10) ხელის ჩამორთმევა ხოლერის დროს საშიშია. ადვილი შესაძლებელია, რომ იმ ადამიანმა, რომლის ხელზე არის დამჯდარი ხოლერის ვიბრიონი, სხვას ხელი ჩამოართვას და ამ რიგათ მას ხელზე გადასცეს ვიბრიონები, ასე რომ ხელის ჩამორთმევითაც ვრცელდება ხოლერა. ამიტომ ხოლერის დროს ზოგიერთ ქალაქებში ბევრ დაწესებულებაში სავაჭრო სახლებში და აგრეთვე კერძო სახლებშიც განცხადება არის გაკრული, სადაც სწერია: გთხოვთ ხელი არ ჩამოართვათ, და ეს შეურაცყოფათ არ არის მიღებული.

**ექიმ. გაბ. გოკიელი.**

(შემდეგი იქნება).

*) უზმათ ოტკის და არაყის სმა მავნებელია.

ლნიც იცვნეს გამარცულებმა ზოგიერთი პოლიციელი მოწმეთ უდგება. შეიძლება ამნაირი მოქმედებით ავაზაკებმა დაუსჯელათ იფარფაშონ, როგორც ახლა, და ისედაც გამვალტყვებული საზოგადოება უფსკრულამდი მიიყვანონ. სასურველია, გუბერნატორმა მიაქციოს ყურადღება ადგილობრივ პოლიციელების მოქმედებას და შესაფერი ზომები მიიღოს.

**ყვირილელი.**

## † პეტრე ზოსიმეს ძე შანიძე.

23 აგვისტოს ს. იანეთში გარდაიცვალა ვარშავის პოლიტეხნიკუმის მეოთხე კურსის სტუდენტი პეტრე ზოსიმეს ძე შანიძე. ესეც კიდევ ერთი მსხვერპლი ჩრდილოეთის აუტანელი ჰაერისა. ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდებს ისტუმრებს ხოლმე ჩვენი პატარა ქვეყანა რუსეთის ჩრდილოეთ გუბერნიებში, რათა მიიღონ მცირეოდენი სწავლა-განათლება მაინც, რომ მით რაიმეში გამოადგენ მშობელ მხარეს; მაგრამ ხშირათ ილუპება ჩვენი შრომა-ამაგი ცოდნის მაგიერ აუტანელი ჰავისაგან დასუსხულ-დაავათმყოფებულნი ბრუნდებიან შინ და ესალმებიან წუთისოფელს. ასეთია ბედი ბევრი ჩვენი ახალგაზდისა.

ასეთივე ბედი ეწვია პეტრე შანიძესაც. ვერ აიტანა მან უცხოეთის ჰაერი, ვერ შეუწყო ხელი მის მდიდარ ბუნებას იქაურმა პირობებმა და დაავადმყოფებული დაბრუნდა შინ. მთელი ერთი წელი იავადმყოფა და გაგვშორდა სამუდამოთ, გაგვშორდა გულდათუთქული სრულის გრძნობითა და გონებით. სიცოცხლის წყურვილი ღრჩობდა მას, სურდა გაეგო თუ რას მოუტანდა დღევანდელი ომი მთელ კაცობრიობას და კერძოთ ჩვენს ქვეყანას, თუ რა იქნებოდა ამ აუარებელი მსხვერპლის ნაყოფი, მაგრამ მუხთალმა ბედმა არ დააცალა საერთო ბედნიერებასა თუ უბედობაში მიეღო მონაწილეობა და მრავალ მაშვრალთა შორის გაეწია ჭაპანი.

პეტრე არ იყო იმ ახალგაზდათაგანი, რომელიც მხოლოთ ბრჭყვიალა ღილებით არის გატაცებული, ფიქრობს მხოლოთ თავის ჯიბესა და კუჭზე და სხვა არა აგონდება რა. ის დაეწაფა ისეთ ცოდნის შეძენას, რომელიც უფრო ესაჭიროებოდა ჩვენს ხალხს და რომელიც უფრო მეტ სარგებლობას მოუტანდა. მისი უბრალო, სადა, თავმდაბალი ხასიათი მეტის-მეტათ მოყვარული გული მშობელ ხალხისადმი,— თავდები იყო იმისი, რომ ის არ დარჩებოდა ზერელე მაყურებელი ჩვენი ბედის და უბედობისა და მხურვალე მონაწილეობას მიიღებდა მის მსვლელობაში.

მთელი ის საზოგადოება, რომელიც იცნობდა მას გულდათუთქული დასტირის, სწუხს მისი დაკარგვით, როგორც ერთი პატიოსანი და გულწრფელი ადამიანისას. დღეს ჩვენი გლეხობა არც ისე ბრმაა, რომ ვერ არჩევდეს ავსა და კარგს. პეტრემ კი, რომელმაც თავისუფალი დრო სოფლათ, გლეხებთან გაატარა, დაიმსახურა მათი საერთო სიყვარული და პატივისცემა. ძნელათ შეხვდებით მის ნაცნობთა შორის ისეთ ადამიანს, რომელსაც მისი დაკარგვით ცრემლი თვალზე არ მოსდგომოდეს და ბოლმით არ ამოეოხროს.

მეც ვინაწილებ-რა შენი უბედური დედ-მამის მწუხარებას, თვალცრემლიანი გეთხოვები ძვირფასო მეგობარო.

ალ. კოხრეიძე.

## მცირე შენიშვნა.

როგორც გვაუწყეს გაზეთებმა, ქუთაისის პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებლის ინსპეკტორი სტ. გაგუა ამა სამასწავლო წლიდან დაინიშნა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სასწავლებელთა მეოთხე რაიონის ინსპეკტორად, რასაც სიამოვნებით უნდა მივეგებოთ იმიტომ, რომ სასურველია საქართველოში ინსპეკტორებად ყოველთვის ინიშნებოდეს აქაური მკვიდრთაგანი, რომელმაც კარგად იცის თავისი ქვეყნის ამბავი, ხალხის ზნე-ჩვეულება, ხასიათი, ენა და მათი ეკონომიური მდგომარეობა, და ამიტომ ასეთ ადმიანს უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია თავის კუთხეში, ვიდრე სხვა ეროვნების პირს, სტ. გაგუას კარგად იცნობს ქუთაისის საზოგადოება და ყველა სახალხო მასწავლებელი; ის 35 წლის განმავლობაში სულ ქუთაისის დირექციაში მსახურებს და სახალხო მასწავლებლიდან დაწყებული ინსპეკტორობამდე გაუვლია ყველა საფეხურები, რადგანაც მას გამოუცდია სახალხო მასწავლებლის ბედი და ყოველ გვარი იმისი გაჭირვება, უნდა მოველოდეთ, რომ დიდი ყურადღებას მიაქცევს სახალხო მასწავლებლის მოღვაწეობას და ყველას ზრდილობიანად მოეპყრობა. უფროსი რამდენად მეგობრულ განწყობილებაში იქნება თავის მასწავლებლებთან, იმდენად უფრო მეტს სარგებლობას მიუტანს საზოგადოებას და თავის თავსაც აღიმაღლებს და დაიფასებს.

ჩვენ აქ არ შეუდგებით ბ-ნ გაგუას ნამეტან ქება დიდებას ისე, როგორც ამას ჩადის მამა ივ. ცქიტიშვილი თავის წერილში „სამშობლოს“ 156. №-ში.

მე მგონია გადაჭარბებული ქება-დიდება ადამიანის პიროვნების უფრო დამამცირებელია ვიდრე ამამაღლებელი და არც ბ. გაგუას იამებოდა ასეთი პირფერობითი და აღმატებითი „კომპლიმენტები“; სრული პედაგოგიური ნიჭით აღჭურვილი ადამიანი და უნაკლულო დღეს ძვირად მოიძებნება და მშვენივრად განწვრთვნილ მასწავლებლებს არა თუ სამოქალაქო სასწავლებლები, სემინარია და ინსტიტუტიც ჯერ ვერ იძლევა, ამიტომ ამას ყველა ლამაზ სიტყვებათ ჩაითვლის.

ბ. გაგუას პირიდათ მე კარგად ვიცნობ და პატივს ვცემ, მაგრამ არა ასე, ე. ი. რომ გუბერნიაში უკეთესი პედაგოგი აღარ იყოს, არამედ როგორც კარგ მუშას პატიოსნად თავის მოვალეობის აღმსრულებელს—35 წლის განმავლობაში და გამოცდილ მასწავლებელს ამასთან ზრდილობიანს და თავის უფროსების მორჩილ პიროვნებას. *)

ვიმეორებ, ბ. გაგუა მუშაობდა ყოველთვის ერთგულად, თავის მოვალეობას სასწავლებელში ასრულებდა პატიოსნად და ახლა როცა ინსპეკტორად დაინიშნა მომავალი იმისი მოღვაწეობა უფრო ნათელს ჰფენს მის პიროვნებას.

ვუსურვებ მას უფრო გაბედულად მოქმედებას, და სოფლის მასწავლებელთა შორის ერთობის დამყარებას.

**ნალი.**

*) მამა ცქიტიშვილისაგან ჩვენ არ მოველოდით გადაჭარბებულ ცნობის მოწოდებას და ამიტომ სრულის ნდობით მოვეპყარით მას. **რედ.**

### შენიშვნა ბ. „ხშირ სტუმარს“.

მე ქვემორე ამის ხელის მომწერს, მცხოვრებს დ. ხარაგაულში, მდინარე ჩხერიმელას პირად, მომეცა რა ბედნიერება გადამეკითხა, როგორც თქვენი წერილები დასტამბული გაზეთ „სამშობლოს“ მე-150 №№-ში, შესახებ ხარაგაულის წიგნთ-საცავ-სამკითხველოსი, აგრეთვე ამავე სამკითხველოს გამგეობის დიდებული და მრავალ კარგ მნიშვნელოვანი პასუხი მოთავსებული ამავე გაზეთ „სამშობლოში“,—მაქვს პატივი გაუწყოთ შემდეგი: როგორც თქვენი უკანასკნელი წერილიდან სჩანს (№№ 150), თქვენი გული ზედმიწევნით მოურბილებია ზემო აღნიშნულ გამგეობის სამართლიან პასუხს და მით სამართლიან გზაზედაც დაუყენებიხართ, რაც მეტისმეტ საიამოვნოთ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ეს ასეც უნდა მომხდარიყო. არა თქვედალოცვილო! თუ კი ადგილობრივ თეატრს მიზნათ ჰქონდა დასახული რაიმე საშუალება აღმოეჩინა ჩვენ დაბეჩავებულ სამკითხველოსთვის, რათ იყავით თქვენ ამის წინააღმდეგი? ნუ თუ მართლა გგონიათ, რომ სამკითხველოს მხოლოდ საწევრო ფული იხსნის უმწეო მდგომარეობისაგან, ან იქნება შესაძლოთ მიგაჩნიათ, რომ მისმა მესვეურებმა ცარცვა-გლეჯას მიჰყო ხელი. თუ ამას მართლა ფიქრობთ, შემცდარი აზრი გქონიათ და თუ ყოველივე ეს სიმართლეს მოკლებულია, იბადება კითხვა: რად სდუმდით იმ დროს, როდესაც აღნიშნულმა გამგეობამ თავის ზემო აღნიშნულ პასუხში სამარცხვინო ბოძზე აგაკრათ და იმ პირველმნიშვნელოვან კულტურულ დაწესებულების, როგორიც არის „სამკითხველო“, თომელმაც ნამდვილ მტრად დაგსახათ. განა ამისათანა შემთხვევაში დუმილს უნდა ჰქონოდა ადგილი? მაგრამ ამის მიზეზი უკვე გამორკვეულია მით, რომ სამსჯავროს წინაშე თქვენი სინანული თქვენივე წერილით აღიარებულია.—დასასრულ ორიოდე სიტყვით მოგმართავთ ბ. „ხშირო სტუმარო“! საზოგადოთ, როდესაც შეატყობთ, რომ სამკითხველო განსაცდელში ლამობს ჩავარდნას და ითხოვს წარმატების გზაზედ დაყენებას იმ დროს მენავეების არ იყოს კალმებს კი ნუ მოუსობთ ხელს საწერათ, არამედ საქმით ანდა აღმოუჩინოთ მას დახმარება, თორემ მარტო თქვენი წერით, ჩემო ძამიკო, მომაკვდავ არსებას ვერ გაასულდგმულებთ.

დავშთები შენი მარად პატივისმცემელათ—მასპინძელი თქვენი **„ხიხრიშოლე“**.

### პასუხი ი. გუნცაძეს.

გაზეთ „სამშობლოს“ 158-ე №-ში მოთავსებულ თქვენს ჩემდამი ღია წერილის პასუხათ მაქვს პატივი მოგახსენოთ შემდეგი: ივანობისთვის უკანასკნელი რიცხვებში იქნებოდა, თქვენ შეგხვდით ქალაქ ქუთაისში ოლდენბურის ქუჩაზე და მიამბეთ, რომ გუბერნატორმა დეპეშით სთხოვა რკინის გზის სამხედრო მიმოსვლის უფროსს, რათა, რადგან თქვენ აღარ შეგეძლოთ თვითონ დასწრებოდით ვაგონების ტვირთვას ჩრდილო კავკასიაში, რაც თქვენ უკვე დაგევალებიათ ვიღაც კრავცოვისათვის, რომ ის ათი ვაგონი, რომელიც თქვენ სახელზე იყო ნათხოვი ბ. პ. გელეიშვილისა და აწ განსვენებულ ბ. მ. ქუთათელაძის შუამდგომლობაში გადაეცათ ზემო ხსენებულ კრავცოვისათვის.

არ გასულა რამოდენიმე დღე და მღვ. იუსტინე ფანცხავამ გადმოგვცა, რომ 59 ვაგონის მაგიერ, რომელიც შუამდგომლობაში იყო აღნიშნული ნება დაურთავთ მხოლოდ ოცდა-ოთხი ვაგონისა.

თქმა არ უნდა მაშინ კი გამაკვირვა თქვენმა მოქმედებამ და კიდეც ვუთხარი მღვ. იუსტინე ფანცხავას, რომ თუ მართლა 59 ვაგონის მაგიერ 24 ვაგონის ნება დართეს, მაშინ ბ. ი. გუნცაძეს არავითარი უფლება არ ჰქონდა 10 ვაგონით ესარგებლა მეთქი. ამას ეხლაც გავიმეორებ და მოგახსენებთ, რომ თუ საერთო რიცხვი—59 ვაგონიდან—24 ვაგონი მისცეს რამოდენიმე ამხანაგობების [illegible] რიცხვი ვაგონებისა, ე. ი. 10 —რომელიც [illegible] შუამდგომლობაში იყო ნათხოვი თქვენ სახელზე, პროპორციონალურათ უნდა შემცირებულიყო.

დასასრულ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი გულისწყრომა, თქვენც უნდა იყოთ ამაში დარწმუნებული იყო სათუო კილოთი წარმოთქმული და მე დღესაც არ ვიცი ვინ ისარგებლა იმ ვაგონებით, რომელიც ნება დართული იყო, გარდა პ. გელეიშვილისა.

**ალ. ჯაფარიძე.**

### წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ, რათა თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადო ყველა იმ პირთ, რომელთაც სოფ. ამაშუკეთში 3 აგვისტოს გამართულ წარმოდგენაზე რაიმე დახმარება გაგვიწიეს. განსაკუთრებით მადლობას უცხადებ ძმებს ივანე ბიჭიკო და პეტრე ამაშუკლებს, რომელთაც სახლი და ეზო დაგვითმეს, გენო ჭუმბურიძეს, ალ. ხარატიშვილს და დ. შველიძეს.

**ბ. რედაქტორო!**

უმორჩილესათ გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საყურადღებოთ დაადასტუროთ, რომ ამ ერთი თვის წინათ გაზეთ სამშობლოში მოთავსებული წერილი სათაურით „არტელის ამონაკვნესი“ მე არ მეკუთვნის და მით საშუალება მომცეთ რიონის სადგურის უფროსის და მის ერთ თანაშემწის ეჭვისაგან თავი დავაღწიო.

**ვასილ შუბლაძე.**

P. s. ვამოწმებთ, რომ წერილი „არტელის ამონაკვნესი“ ბ-ნ ვასილ შუბლაძის დაწერილი არ არის. **რედ.**

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**

ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია უფლებებ მოპოვებული

**მ. ზ. კვინიხიძის**

(თფილისის ქუჩა, სახლი ფრ. წერეთლისა).

აცხადებს, რომ მისაღები **გამოცდები ყველა კლასში დაიწყება 18 აგვისტოდან**, სწავლა კი 1 სექტ. **პროგიმნაზიას აქვს აგრეთვე საანბანო განყოფილება**, სადაც მიიღებიან **სრულიად მოუმზადებელი ბავშვები.**

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

**საპნის გასაკეთებელი „სოდა“**

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი**

**ქართული და რუსული** სახელმძღვანელო **წიგნები,**

გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება **საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.**

თვ.